საქართველოს მთავრობის განკარგულება

№907 2016 წლის 20 მაისი ქ. თბილისი

„საინფორმაციო ტექნოლოგიების პროდუქციით ვაჭრობის გაფართოების თაობაზე დეკლარაციის“ საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენისა და მომხსენებლებად ი. ქავთარაძის, გ. არველაძისა და ს. ურიდიას დანიშვნის შესახებ

1. საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის 1[1] პუნქტისა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს რატიფიცირებისათვის წარედგინოს „საინფორმაციო ტექნოლოგიების პროდუქციით ვაჭრობის გაფართოების თაობაზე დეკლარაცია“.

2. „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენილ ამ განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნულ დეკლარაციაზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლებად დაინიშნონ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეები **ირმა ქავთარაძე** და **გენადი არველაძე**, ხოლო საქართველოს პარლამენტის

საკომიტეტო სხდომებზე მომხსენებლად ასევე დაინიშნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი **სამსონ ურიდია.**

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**